ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №397099

ნომერი: AR181313

თარიღი : 18.09.2012

გაცემის თარიღი : 18.10.2012

გაცნობის თარიღი : 18.10.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 24 , . ;

თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 12 ბ. 58

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხოსრუაშვილი პ/ნ 01009011823

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 09/18/2012 წ. AR181313 განცხადებით მომართა ნინო ხოსრუაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემულ 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა მიწის ნაკვეთის კონფიგურაციისა და ფართობის ცვლილების გამო.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა რომ , ქ. თბილისის

არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #24-ში არსებულ #1/10/16/1/15 საკადასტრო ერთეულზე, (ფართობით: 8159 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, ოფისები და სხვა) სამშენებლოდ გაიცა 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტი.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (ამონაწერის რეგისტრაციის #882012942625; მომზადების თარიღი: 28.09.2012წ. საკადასტროს რეგისტრაციის #882012924076; მომზადების თარიღი: 25.09.2012წ. საკადასტრო კოდი #01.10.16.001.019, ფართობი: 8074 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და საკადასტრო გეგმა.

“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილების თანახმად კი საპროექტო დოკუმენტაციაში უნდა აისახოს ყველა ის ცვლილება რაც განიცადა მიწის ნაკვეთმა.

ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაწყებულია სამშენებლო სამუშაოები მაგრამ ობიექტი არ არის ექსპლუატაციაში მიღებული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამშენებლო პასპორტში შეიტანოს ცვლილება და დამატება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე” ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის №194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს – 8074 კვ.მ, საკადასტრო კოდი: #01.10.16.001.019;
2. ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტს დაემატოს ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეეტრიდან (ამონაწერის რეგისტრაციის #882012942625; მომზადების თარიღი: 28.09.2012წ. საკადასტროს რეგისტრაციის #882012924076; მომზადების თარიღი: 25.09.2012წ. საკადასტრო კოდი #01.10.16.001.019, ფართობი: 8074 კვ.მ.);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 09.06.2003 წ. #858 სამშენებლო პასპორტთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.